

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №07
2022 წლის 29 ივლისი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №07 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №07 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 30/11/2021, 190020020.35.144.016389) და დადგენილების დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ შუბითიძე

დანართი №1

ქარელის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტი თავი I ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ლარში

დასახელება	2020 წ. ფაქტი	2021 წ. ფაქტი	2022 წ. გეგმა
შემოსავლები	22 519 210,3	23 517 779,02	24 255 954,7
გადასახადები	10 835 705,8	13 219 372,04	15 900 000,0
გრანტები	9 467 520,1	8 364 670,77	6 506 454,7
სხვა შემოსავლები	2 215 984,4	1 933 736,21	1 849 500,0
ხარჯები	7 931 243,3	9 511 046,88	12 743 980,9
შრომის ანაზღაურება	1 716 210,1	1 755 661,96	2 525 300,0
საქონელი და მომსახურება	620 133,8	962 273,15	1 380 287,9
პროცენტი	32 031,0	25 585,00	30 000,0



სუბსიდიები	4 147 745,0	5 631 958,21	6 931 480,0
გრანტები	3 916,5	54 100,00	131 515,0
სოციალური უზრუნველყოფა	937 579,9	773 228,94	1 155 685,0
სხვა ხარჯები	473 627,0	308 239,62	589 713,0
საოპერაციო სალდო	14 587 967,0	14 006 732,14	11 511 973,8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	13 669 015,3	13 515 254,40	15 177 782,2
ზრდა	13 839 497,1	14 072 038,37	15 353 919,1
კლება	170 481,8	556 783,97	176 136,9
მთლიანი სალდო	918 951,7	491 477,74	-3 665 808,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	869 475,7	442 001,74	-3 731 908,4
ზრდა	948 577,4	445 802,87	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	948 577,4	445 802,87	0,0
კლება	79 101,7	3 801,13	3 731 908,4
ვალუტა და დეპოზიტები	79 101,7	3 801,13	3 731 908,4
ვალდებულებების ცვლილება	-49 476,0	-49 476,00	-66 100,0
კლება	49 476,0	49 476,00	66 100,0
საშინაო	49 476,0	49 476,00	66 100,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ლარი

დასახელება	2020 წ. ფაქტი	2021 წ. ფაქტი	2022 წ. გეგმა
შემოსულობები	22 519 210,280	24 074 562,99	24 432 091.62
შემოსავლები	22 519 210,280	23 517 779,02	24 255 954.69
არაფინანსური აქტივების კლება	170 481,75	556 783,97	176 136.93
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე)	0.0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0	0
გადასახდელები	21 820 216,34	23 632 561,25	28 164 000.0
ხარჯები	7 931 243,26	9 511 046,88	12 743 980.91



არაფინანსური აქტივების ზრდა	13 839 497,08	14 072 038,37	15 353 919,09
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0.0	0	
ვალდებულებების კლება	49 476,00	49 476,00	66 100,00
ნაშთის ცვლილება	869 475,7	442 001,74	-3 731 908.4

მუხლი 3. ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 24 255 954.69 ლარის ოდენობით:

ლარი

დასახელება	2020 წ. ფაქტი	2021 წ. ფაქტი	2022 წ. გეგმა
შემოსავლები	22 519 210,280	23 517 779,02	24 255 954.69
გადასახადები	10 835 705,790	13 219 372,04	15 90 0000.00
გრანტები	9 467 520,10	8 364 670,77	6 506 454.69
სხვა შემოსავლები	2 215 984,39	1 933 736,21	1 849 500,00

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 15 900 000.00 ლარის ოდენობით:

ლარი

დასახელება	2020 წ. ფაქტი	2021 წ. ფაქტი	2022 წ. გეგმა
გადასახადები	10 835 705,790	13 219 372,04	15 900 000.00
ქონების გადასახადი	1 354 728,310	1 425 578,13	1 555 000.00
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	863 089,120	889 433,65	1 155 000.00
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-13 340,8	0,00	0,00
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	17 510,0	7 948,53	0,00
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	17 510,0	7 948,53	0,00
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	248 515,610	288 003,86	200 000,00
ფიზიკურ პირებიდან	215 686,940	254 081,69	180 000,00
იურიდიულ პირებიდან	32 828,670	33 922,17	20 000,00
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	238 954,380	240 192,09	200 000,00
ფიზიკურ პირებიდან	35 303,4	43 901,03	0,00
იურიდიულ პირებიდან	203 651,010	196 291,06	200 000,00
დამატებითი ღირებულების გადასახადი	9 480 977,480	11 793 793.91	14 345 000.00



მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6 506 454.69 ლარის ოდენობით

ლარი

დასახელება	2020 წ. ფაქტი	2021 წ. ფაქტი	2022 წ. გეგმა
გრანტები	9 467 520,10	8 364 670,77	6 506 454.69
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მოღებული გრანტები	9 467 520,10	8 364 670,77	6 506 454.69
მიმდინარე	317 407,78	376 500.13	565 923,69
მიზნობრივი ტრანსფერი	317 407,78	376 500.13	565 923,69
კაპიტალური	9 150 112,3	7 988 170.64	5 940 531.0
კაპიტალური ტრანსფერი	9 150 112,3	7 988 170.64	5 940 531.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1 849 500,00 ლარის ოდენობით:

ლარი

დასახელება	2020 წ. ფაქტი	2021 წ. ფაქტი	2022 წ. გეგმა
სხვა შემოსავლები	2 215 984,39	1 933 736,21	1 849 500,00
შემოსავლები საკუთრებიდან	242 710,760	370 621.20	239 000,00
პროცენტები	114 657,550	133 397,25	70 000,00
რენტა	128 053,210	237 223,95	169 000,00
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	88 565,830	205 893,17	109 000,00
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	39 487,380	31 330,78	60 000,00
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	160 333,120	160 025,17	230 000,00
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	141 758,120	142 079,72	215 000,00
სანებართვო მოსაკრებელი	30 798,820	20 878,05	25 000,00
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	110 959,300	121 201,67	190 000,00
არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევ. გაყიდვები	18 575,000	17 945,45	15 000,00
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	18 575,000	17 945,45	15 000,00
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 560 542,290	1 251 715,71	1 300 500,00
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	252 398,220	151 374,13	80 000,00

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები თანდართული რედაქციით:



დასახელება	2020 წ. ფაქტი	2021 წ. ფაქტი	2022 წ. გეგმა
ხარჯები	7 931 243,26	9 511 046.88	12 743 980.91
შრომის ანაზღაურება	1 716 210,06	1 755 661.96	2 525 300.00
საქონელი და მომსახურება	620 133,83	962 273.15	1 380 267.91
პროცენტი	32 031,00	25 858.00	30 000,00
სუბსიდიები	4 147 745,01	5 631 958.21	6 931 480.00
გრანტები	3 916,50	54 100.00	131 515.00
სოციალური უზრუნველყოფა	937 579,90	773 228.94	1 155 685.00
სხვა ხარჯები	473 626,96	308 239.62	589 713.00

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 15 177 782.20 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 15 353 919.09 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ლარი

კოდი	დასახელება	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	15 481,99	2 806.00	177 600.00
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11 600 618,2	9 947 296.36	11 908 684.45
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	145 830,00	22 912.00	40 960.00
04 00	განათლება	578 040,34	660 309.46	432 383.08
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 496 817,59	3 438 714.55	2 794 291.56
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 709,00	0,00000	0,0
სულ ჯამი		13 839 497,08	14 072 038.37	15 353 919.09

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 176 136.93 ლარის



დასახელება	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	170 481,75	556 783.97	176 136.93
ძირითადი აქტივები	102 227,50	169 691.61	55 000.00
შენიშვნა ნაგებობები	102 227,50	169 691.61	55 000.00
არაწარმოებული აქტივები	68 254,25	387 092.36	121 136.93
მიწა	68 254,25	387 092.36	121 136.93

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 257 256,58	2 347 131,14	3 548 179,22
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 175 749,58	2 272 070,14	3 442 079,22
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 175 749,58	2 272 070,14	3 418 829,00
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,00	0,00	23 250,22
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	81 507,00	75 061,00	96 100,00
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,00	0,00	10 000,00
702	თავდაცვა	99 701,65	105 685,77	162 000,00
704	ეკონომიკური საქმიანობა	11 230 530,39	9 146 269,44	8 989 941,67
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	717 684,18	336 019,62	668 427,00
70421	სოფლის მეურნეობა	717 684,18	336 019,62	668 427,00
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	373 025,75	398 742,64	365 000,00
70443	მშენებლობა	373 025,75	398 742,64	365 000,00
7045	ტრანსპორტი	8 937 902,51	7 424 240,40	6 820 514,67
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	8 937 902,51	7 424 240,40	6 820 514,67
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1 201 917,95	987 266,78	1 136 000,00



705	გარემოს დაცვა	1 086 849,31	1 535 184,63	1 664 800,00
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	999 043,58	1 269 998,64	1 290 600,00
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	87 805,73	265 185,99	374 200,00
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	871 110,16	1 715 290,57	4 104 755,78
7063	წყალმომარაგება	42 363,51	374 644,03	2 247 355,78
7064	გარე განათება	614 357,61	673 863,25	676 400,00
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	214 389,04	666 783,29	1 181 000,00
707	ჯანმრთელობის დაცვა	103 059,65	95 089,96	125 000,00
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	103 059,65	95 089,96	125 000,00
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 637 201,88	4 841 911,69	4 982 331,56
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 842 428,81	4 027 319,43	4 078 931,56
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	628 464,07	685 626,23	772 300,00
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	16 560,00	17 145,93	18 300,00
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	149 749,00	111 820,10	112 800,00
709	განათლება	2 508 533,78	3 007 167,75	3 391 306,77
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 898 769,77	2 708 133,69	2 957 749,70
7092	ზოგადი განათლება	586 484,01	275 744,06	433 557,07
70923	საშუალო ზოგადი განათლება	586 484,01	275 744,06	433 557,07
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	23 280,00	23 290,00	0,00
710	სოციალური დაცვა	1 071 385,58	838 830,30	1 195 685,00
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	594 729,35	581 308,87	845 485,00
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	564 729,35	548 308,87	812 485,00
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	30 000,00	33 000,00	33 000,00
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	60 750,00	69 788,00	87 000,00
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	25 000,00	27 000,00	30 000,00
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	112 600,00	103 800,00	118 000,00
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	278 306,23	56 933,43	115 200,00
	სულ	21 865 628,98	23 632 561,25	28 164 000,00



	დასახელება	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 გეგმა
	საოპერაციო სალდო	14 587 967,0	14 006 732.14	11 511 973.8
	მთლიანი სალდო	918 951,7	491 477.74	-3 665 808.4

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ლარი

	დასახელება	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 გეგმა
	ფინანსური აქტივების ცვლილება	1 527 058.9	442 001.74	-3 731 908.4
	ზრდა	1 606 160.6	445 802.87	0.0
	ვალუტა და დეპოზიტი	1 606 160.6	445 802.87	0.0
	კლება	79 101.70	3 801.13	3 731 908.4
	ვალუტა და დეპოზიტი	79 101.70	3 801.13	3 731 908.4

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ლარი

	დასახელება	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 გეგმა
	ვალდებულებების ცვლილება	-49 476	-49 476.00	-66 100
	ზრდა	0.0	0.0	0.0
	საშინაო	0.0	0.0	0.0
	კლება	49 476	49 476.00	66 100
	საშინაო	49 476	49 476.00	66 100

მუხლი 13. სასეხო ვალდებულებები

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქარელის მუნიციპალიტეტის სასეხო ვალდებულებები შეადგენდა 272 122 ლარს, ხოლო 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იქნება 222 646 ლარი.

თავი II

ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის პროგრამები და 2022-2024 წლების პრიორიტეტები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმედანობის უზრუნველყოფა

ლარი



	დასახელება	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 გეგმა
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	599 659,77	608 908.68	826 351.00
	ხარჯები	599 014,77	608 908.68	822 351.00
	შრომის ანაზღაურება	444 926,02	448 892.38	654 500,00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	645,00	0,00	4 000,00
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1 576 089,81	1 663 161.46	2 592 478.00
	ხარჯები	1 563 016,82	1 660 355.46	2 421 878.00
	შრომის ანაზღაურება	1 196 884,04	1 227 991.78	1 753 800,00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	13 072,99	2 806.00	170 600.00
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	99 701,65	105 685.77	162 000,00
	ხარჯები	97 937,65	105 685.77	159 000,00
	შრომის ანაზღაურება	74 400,00	78 777.80	117 000,00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 764,00	0.00	3 000,00

01 02 საერთო დანიშნულების ხარჯები

ლარი

	დასახელება	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 გეგმა
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0,00	0.00	23 250.22
	ხარჯები	0,00	0.00	23 250.22
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0,00	0,00	10 000,00
	ხარჯები	0,00	0,00	10 000,00
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	81 507,00	75 061.00	96 100,00
	ხარჯები	32 031,00	25 585.00	30 000,00
	ვალდებულებების კლება	49 476,00	49 476.00	66 100,00



პროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო სამსახური
დაფინანსება	96 100.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე წაკისრი სასესხო ვალდებულების ნაწილობრივ დაფარვა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით შევიდინეთ სპეც მანქანა. აღნიშნული სესხის მთლიანი მოცულობა შეადგენს 346 336 ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი 171 255 ლარს. 2022 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის 96.1 ათ. ლარის დაფარვა.
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში დაფარული სასესხო ვალდებულება

ინფრასტრუქტურის განვითარება

(პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ლარში

	დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12 056 227,9	10 861 560,01	13 079 497,45

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 01
პროგრამის დასახელება:	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	6 600 514.67 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, მოსახლეობა მოძრაობდეს შეუფერხებლად, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით. არ შეიქმნას პრობლემა უამინდობის პერიოდში გადაადგილებაზე. სოფლები ერთმანეთს დაუკავშირდნენ რეაბილიტირებული გზებით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2022 წელს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგი გზების რეაბილიტაცია-მშენებლობა: კეხიჯვარში, ბრეთის მეურნეობაში, ბრეთში, ძლევიჯვარში, ფცაში, ქარელში, ბეზნისში, ლეთეთში, კოდავარდისუბანში, ქვენატკოცაში, აგარაში, ავტობანიდან ახალსოფლამდე მისასვლელი გზის, შოვრეთის გზის, ქობესაანთუბნის გზის, სამწევრისში, სალოლაშენის გზის, წვერის გზის რეაბილიტაცია მშენებლობა. მოსაცდელეზი მოეწყობა: აბისში, ლეთეთში, ბერძენაულსა და სალოლაშენში. ასევე დვანსა და ტახტისძირში განხორციელდება ხიდების მოწყობა-რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები. ასევე დაგეგმილია ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ურბნისში გზის ასფალტირების სამუშაოები, ფცაში, ლეთეთში, ძლევიჯვარში, დირბში, ბრეთში გზის ასფალტირების სამუშაოები



მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისა და ტურისტების კომფორტული გადაადგილება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 02
პროგრამის დასახელება:	შიდა გზების მოვლა პატრონობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	220 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული საავტომობილო გზების ნაწილის შეკეთება (მოხრეშვა-მოშანდაკება). დაზიანებული და შესაკეთებელი გზები პრობლემას წარმოადგენს ფეხით მოსიარულეთათვის, ხელი ემსხვერპლავს ტვირთის გადატანას, მოსახლეობის გადაადგილებას, ტურიზმის განვითარებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების საფარის მოწესრიგება 20 000 მ² ფართობზე და სხვა სამუშაოები. ასევე მოხდება 2021 წლის ვალდებულების ანაზღაურება
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისა და ტურისტების კომფორტული გადაადგილება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 01
პროგრამის დასახელება:	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია.
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	2 247 355.78 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტის ჯერ კიდევ დარჩენილი სოფლების სასმელი წყლის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების პრობლემის მოგვარება. პროგრამის ფარგლებში იგეგმება რეგ. ფონდიდან გამოყოფილი თანხითა და ადგილობრივი ბიუჯეტის 5% თანადაფინანსებით, ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, წყალმომარაგების მომსახურების ხარისხის და დაფარვის არეალის გაუმჯობესება, წყალმომარაგების მომსახურების ეფექტური მიწოდება. კერძოდ, იგეგმება: სოფელ სალოლაშენში - სასმელი წყლის სისტემის მოწყობა არსებული დებეტის გამოყენებით; სოფელ ზემო ხვედურეთში - სასმელი წყლის ქსელის მოწყობა/რეაბილიტაცია; სოფელ თამარაშენში - სასმელი წყლის ჭაბურღილის და ქსელის მოწყობა. ასევე, სასმელი წყლის სისტემა მოეწყობა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: აბისში, ხეობაში, ბერძენაულში, აფნისში, თათანანთუბანში. სოფელ ატოცში განხორციელდება წყაროს რეაბილიტაცია და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა, სასმელი წყლის გაუმჯობესებული ხარისხი, სასმელ წყალზე შეუფერხებელი წვდომა.



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 03
პროგრამის დასახელება:	სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	653 227,0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: რწყვის პერიოდში ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მიერ სარწყავი წყლის არხებით შეუფერხებლად სარგებლობა. მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია და სხვა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების განსახორციელებლად გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება. ასევე მოხდება 2021 წლის ვალდებულების ანაზღაურება
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული სარწყავ-სანიაღვრე არხები, შეუფერხებლად მოქმედი სარწყავი სისტემა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 01
პროგრამის დასახელება:	გარე განათების მშენებლობა, რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	40 000,0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გამართული გარე განათების სისტემის არსებობა. მოსახლეობის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება. გარე განათების სისტემა მოეწყობა შემდეგ სოფლებში: რუისში,ლეეთში, ბრეთში, ზღუდერში, აფნისში, იმერხევში, დირბში, მოხისში და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების გამართული მუშაობა და ელექტრო ენერგიის საფასურის დაფარვა.
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 02
პროგრამის დასახელება:	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი“
დაფინანსება	636 400.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული გარე განათების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის, ლამპიონების მოვლა-პატრონობა და გახარჯული ელექტრო ენერგიის საფასურის გადახდა. ლონისძიების ფარგლებში მოხდება გარე განათების ექსპლოატაციის პერიოდში წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა, დამწვარ-დაზიანებული ნათურების შეცვლა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. გარე განათების ქსელის მომსახურება გაეწევა



	მუნიციპალიტეტის შემდეგ დასახლებულ პუნქტებს: ქ. ქარელს, დ. აგარას, სოფლებს: ბეზნისს, რუისს, ურბნისს, ქვენატკოცას, ფცას, ქვემო ხვედურეთს, ზემო ხვედურეთს, კეხიჯვარს, მოხისს, ბრეთს, ბრეთის მეურნეობას, დირბს, აბისს, აბისისთავს, ბერძენაულს, ავლევეს, ცერონისს, კნოლევეს, სასირეთს, ლოდეტს, კოდავარდისუბანს, ზემო შაქშაქეთს, ქვემო შაქშაქეთს, ბრემას, ატოცს, ჭვრინისს, ახალსოფელს, საციხურს, აბანოს, კოდას, სალოლაშენს, არადეთს, წვერს, თათანათ უბანს, სანებელს, ვედრებას, სამწვერისს, დვანს, ტახტიძის, მღევიჯვარს, ხეობას, ჭანდრებს, ღვლევეს, იმერხევს, გვერძინეთს, თამარაშენს, ყინწვისს, ქვენაფლავს, ლეთეთს, ქობესაანთ უბანს, კრობანს, კლდუს, ზღუდერს, ხეობას, თრეხევს, კრობანს, ოქროსოფელს და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების გამართული მუშაობა და ელექტრო ენერგიის საფასურის დაფარვა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 04
პროგრამის დასახელება:	შენობების და ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	300 000 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, შემდეგი ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების განხორციელება : ქარელის ადმინისტრაციული ერთეული, ბეზნისის ადმინისტრაციული ერთეული, კეხიჯვარის ადმინისტრაციული ერთეული, ზღუდრის ადმინისტრაციული ერთეული, მოხისის ადმინისტრაციული ერთეული, ბრემის ადმინისტრაციული ერთეული, დვანის ადმინისტრაციული ერთეული , დირბის ადმინისტრაციული ერთეული, ბრეთის მეურნეობის ადმინისტრაციული ერთეული , აგარის ადმინისტრაციული შენობა და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული ადმინისტრაციული შენობები. კმაყოფილი მოსახლეობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05
პროგრამის დასახელება:	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	269 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსებას საცხოვრებელი კორპუსების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და სხვა ღონისძიებებს. ასევე მოხდება 2021 წლის ვალდებულების ანაზღაურება
მოსალოდნელი შედეგი	ბინათმესაკუთრეთა ძლიერი ამხანაგობები, მოწესრიგებული საცხოვრებელი გარემო, პრობლემების გადაჭრაში ჩართული მოსახლეობა, რეაბილიტირებული შენობები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 06 01
პროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	612 000,0 ლარი
	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და



პროგრამის მიზანი და აღწერა	გასართობი სივრცეების მოწყობა, კერძოდ: ბენისში, ქარელში ოთხი სკვერის მოეწყობა წერეთლის და ერთობის ქუჩაზე, ვარძელაშვილის ქუჩაზე, ცაბაძის ქ. საჩრდილობელი ფანჩატურის მოწყობა გარე ტრენაჟორებით: ბერძენაულში, ქვემო შაქმაქეთში, ბენისში, ჭანდრებში, აბანოში, სამწევრისში, ქვემო ხვედურეთში, აგარაში, ქარელში, ურბნისში და სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი სივრცე, კმაყოფილი მოსახლეობა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 07
პროგრამის დასახელება:	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	365 000,0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: პროექტების განხორციელების ზედამხედველობა, ახალი პროექტების შექმნა. პროგრამის ფარგლებში მოხდება მიმდინარე პროექტების ზედამხედველობა და შეძენილი იქნება ახალი პროექტები სამომავლო დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად. ასევე განხორციელდება 2022-2023 წლებში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენის მომსახურების შესყიდვა.
მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები, შეძენილი პროექტები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 08
პროგრამის დასახელება:	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	1 136 000 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის #277 განკარგულებით, ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 940 000 ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. თანადაფინანსების მიზნით ქარელის მუნიციპალიტეტმა ადგილობრივად გამოიყო 148 000 ლარი. პროგრამა მოიცავს ასევე 2021 წელს აღებულ ვადებულებებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ #168 განკარგულება, რომლებიც ვერ დასრულდა 2021 წელს და რომლის თანხა შეადგენს 48000 ლარს.
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული პირობებით კმაყოფილი სოფლად მცხოვრები მოსახლეობა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

(პროგრამული კოდი 03 00)



მუნიციპალიტეტის ერთერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოს დაცვა და დასუფთავება, მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემების და შადრევნების მოვლა-პატრონობა, განვითარება. ასევე იმ სასმელი წლის ჭაბურღილების ელექტრო ენერგიის გადასახადის დაფარვა, რომლებითაც სარგებლობს სოფლების მოსახლეობა.

ლარი

	დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 086 849,31	1 535 184,63	1 664 800,00

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 01
პროგრამის დასახელება:	კაპიტალური დაბანდება დასუფთავების სფეროში
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	100 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის დასუფთავების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გეგმავს კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებას ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვაზე. შეძენილი იქნება 400 ცალი ნაგვის ურნა, რომელიც განთავსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული გარემო, კმაყოფილი მოსახლეობა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 02
პროგრამის დასახელება:	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი“
დაფინანსება	1 190 600.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების გამართული სერვისი - მყარი ნარჩენების მართვა. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში ქ. ქარელში და დაბა აგარაში განხორციელდება ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება, სანიაღვრეების გაწმენდა, ნარჩენების გატანა: ქ. ქარელის, დ. აგარის და სოფლების: ქვენატკოცის, ზებნისის, ლეთეთის, ქვემო ხვედურეთის, ზემო ხვედურეთის, კეხიჯვრის, ქობესაანთ უბნის, თათანაანთუბნის, სამწევრისის, ვედრების, სანებლის, რუისის, ურბნისის, ბრეთის, საღოლაშენის, არადეთის, წვერის, სასირეთის, ბრეთის მეურნეობის, ძლევიჯვრის, ყინწვისის, ზღუდრის, მოხისის, ახალსოფლის, დირბის, დვანის, ტახტიძირის, ფცის, თამარაშენის, ქვემო შაქშაქეთის, აბისის, აბისისთავის, ბერძენაულის, ავლევის, ცერონისის, კნოლევის, ბრემის, ატოცის, გულიკაანთ უბნის, ღვლევის, ქვენაფლავის, ჭანდრების, ხეობის, სუქაანათ უბნის, ორთუბნის, ელბაქიაანთ კარის, კოდავარდისუბნის, ზემო შაქშაქეთის, საციხურის, კოდის, ღოდეთის, ჭვრინისის, აბანოს, სოფელ ახალსოფლის, აფნისის, გვერძინეთის და სოფელ მოხისის დევნილთა ჩასახლების მოსახლეობიდან და ორგანიზაცია-დანესებულებებიდან და განხორციელდება სხვა ღონისძიებები
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მუნიციპალიტეტის დასუფთავებული ტერიტორია.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 03
-------------------------------	-------



პროგრამის დასახელება:	მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემისა და შადრევანების მოვლა-პატრონობა, განვითარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი“
დაფინანსება	374 200.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: კულტურული და ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნა, დაზიანებული და საფრთხის შემცველი ხეებისგან მოსახლეობის დაცვა. სასმელი წყლის სისტემის და შადრევანის მომსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული და მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველი ხეების გადაბეღვა, მოჭრა. განხორციელდება ხე-მცენარეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. შადრევანების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, პარკების და სხვა საჯარო ადგილების მოვლა-პატრონობა. ასევე სოფლებში წყლის სისტემის ტექნიკური (ტუმბოების შეკეთება განახლება) უზრუნველყოფა და იმ სასმელი წყლის ჰაზურდილის ელექტრო ნერგის გადასახადის გადახდა, რომლებითაც სარგებლობს სოფლების მოსახლეობა.
მოსალოდნელი შედეგი	გამწვანებული, ეკოლოგიურად სუფთა და ამორტიზირებული ხეებისგან დაცული გარემო, სასმელი წყლის სისტემისა და შადრევანების გამართული ფუნქციონირება.

განათლება

(პროგრამული კოდი 04 00)

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა შეიქმნას მყარი საფუძველი აღსაზრდელებისათვის სასკოლო განათლების მისაღებად. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება, სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება. აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, მოხდება ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

ლარში

		2020 წ. ფაქტი	2021 წ. გეგმა	2022 წ. გეგმა
04 00	განათლება	2 508 533,78	3 007 167,75	3 391 306,77

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 01
პროგრამის დასახელება:	სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	309 749.70 ლარი
პროგრამის მიზანია:	მუნიციპალიტეტში მოქმედ 24 საბავშვო ბაღში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. ბავშვთა რაოდენობის გაზრდის გამო, ქარელში იგეგმება ახალი საბავშვო ბაღის (ოთხ



პროგრამის მიზანი და აღწერა	ჯგუფიანი) აშენება , ასევე სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ჩატარდება შემდეგ საბავშვო ბაღებს: ახალსოფელში, ავლევსა და ზღუდერში. რადგანაც ბაღების გარკვეული რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, პროგრამის ფარგლებში იგეგმება შემდეგი საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა: ქარელის #1, ქარელის #2, რუისის #1, რუისის #2, რუისის #3, ურბნისის, ბეზნისის, კეხიჯვრის, ზ/ზვედურეთის, ქვ/ზვედურეთის, ბრეთის, წვერის, დირბის, დვანის, აგარის, ქვენატკოცის, ფცის, აბისის, აბანოს, მოხისის, ბრეთის მეურნეობის. ასევე იგეგმება სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება. ასევე მოხდება 2021 წლის ვალდებულების ანაზღაურება
მოსალოდნელი შედეგი	სტანდარტის შესაბამისი საბავშვო ბაღები, რომლითაც ისარგებლებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 02
პროგრამის დასახელება:	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება“
დაფინანსება	2 648 000,0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში სულ 1450 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, სადაც, დღეის მდგომარეობით, შესაძლებელია 1500 ბავშვის სწავლება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს 24 საბავშვო ბაღი, რომელთა ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ “სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალიტეტის გაერთიანება”. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 351 თანამშრომელი, მათ შორის 68 აღმზრდელი და 68 თანამშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, მენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომის პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, შესაფერისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სკოლამდელი ასაკის ბავშვები, სტანდარტების შესაბამისი გარემო.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 04
პროგრამის დასახელება:	სკოლების მშენებლობა - რეაბლიტაცია და მოსწავლეების ტრანსპორტირება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	433 557,07 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	საქართველოს მთავრობის #51 განკარგულებით (14.01.2022წ) „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხები სკოლების მშენებლობა - რეაბლიტაციის და მოსწავლეების ტრანსპორტირებისთვის.
მოსალოდნელი შედეგი	სკოლის მოსწავლეებისთვის სწავლებისთვის გაუმჯობესებული გარემოს შექმნა



კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

(პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია, ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ახალგაზრდების მრავალმხრივ განვითარებას და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლენა.

ლარი

		2020 წ. ფაქტი	2021 წ. გეგმა	2022 წ. გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.	2 637 201,88	4 841 911.69	4 997 531,56

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 01
პროგრამის დასახელება:	მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	2 890 631,56 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი სპორტული მოედნებით სარგებლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. დაგეგმილია სპორტული მოედნის მშენებლობა-რეაბილიტაცია : საციხურში, კოდავარდისუბანში, დვლევი, ბეზნისის მეურნეობაში, ჭვრინისში, ქვენატკოცაში, ჭანდრებში და ქ. ქარელში მუსხელისშვილის ქუჩაზე. მოხდება სპორტდარბაზების რეაბილიტაცია რუისსა და სამწევრისში და სხვა ღონისძიებები. ასევე მოხდება 2022 წლის ვალდებულების ანაზღაურება
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 02
პროგრამის დასახელება:	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	1 188 300,0 ლარი
	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში სპორტული მიმართულებით სწავლების გაძლიერება,



პროგრამის მიზანი და აღწერა	სხვადასხვა ღონისძიებებისა და ტურნირების ჩატარება, წარმატებული სპორტსმენების წარმოჩენა და სპორტის სახეობების პოპულარიზაცია. პროგრამის ფარგლებში ჩატარდება სპორტის სხვადასხვა სახეობების სწავლებები: ფეხბურთის, ჭადრაკის, ჭიდაობის (მიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა), კიკბოქსინგის, ჯიუ-ჯიცუს, ხელბურთის, ფრენბურთის მიმართულებით. დააფინანსდება ზემოთ აღნიშნულ სპორტის სახეობებში სხვადასხვა ღონისძიებები და ტურნირები, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბით და ჩატარდება სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებული სპორტსმენების გამოვლენა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 02
პროგრამის დასახელება:	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	27 800.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში კულტურისა და სახელოვნებო განათლების განვითარება, სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დაინტერესებას და ჩართულობის ზრდას, სახელოვნებო განათლების განვითარებას.
	მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება, კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია



მოსალოდნელი შედეგი	
--------------------	--

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 03
პროგრამის დასახელება:	ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	371 300.00 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ქვეპროგრამის ფარგლებში სახელოვნებო განათლების მიმართულებით თავის საქმიანობას ახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტში სამი სახელოვნებო სკოლა - ქარელის ხელოვნების სკოლა (ბრეთის მუსიკალური განყოფილებით), ნაწული დამბაშიძის სახელობის აგარის ხელოვნების სკოლა და რუისის ხელოვნების სკოლა. ხელოვნების სკოლებში სულ დასაქმებულია 69 თანამშრომელი, ხელოვნების სკოლებში ბავშვთა რაოდენობა 620-მდე მოსწავლეს შეადგენს; სკოლები ხელს უწყობენ წარმატებულ მოსწავლეებს და უზრუნველყოფენ მათ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში; წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები სახელოვნებო მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ სახელოვნებო სკოლების მოსწავლეები. ხელოვნების სკოლებში ბავშვები სწავლობენ კლასიკურ და ხალხურ მუსიკას; ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე დაკვრას; სოლფეჯიოს, მუს-ლიტერატურას, ფოლკლორს, ხელოვნების ისტორიას. მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, აგრეთვე ადგილობრივ ღონისძიებებში. ახალი სასწავლო წლის დასაწყისში 71 ერთეულით გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა ხელოვნების სკოლებში.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის მიმზიდველი სახელოვნებო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, ხელოვნების პოპულარიზაცია, მოსახლეობის ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 04
პროგრამის დასახელება:	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	46 500.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, წიგნადი ფონდის განახლება და წიგნის პოპულარიზაცია. ქარელის ცენტრალური ბიბლიოთეკა ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის ხელოვნების და კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ერთერთი განყოფილებაა, ბიბლიოთეკა ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობაშიგანხორციელდება სხვადასხვა პროექტები: ერთად კითხვის საღამოები, ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები.განახლდება წიგნადი ფონდი და მოეწყობა სხვასხვა ღონისძიებები წიგნის პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, განახლებული წიგნადი ფონდი.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 05
-------------------------------	----------



პროგრამის დასახელება:	კულტურის ცენტრის ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	173 600.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში. კულტურის ცენტრი თავის საქმიანობას განახორციელებს სხვადასხვა წრეების და შემოქმედებითი ჯგუფების საშუალებით; ქარელის მუნიციპალიტეტში ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს: მამაკაცთა ანსამბლი „ქარელი“ - 15 მამაკაცის შემადგენლობით, ხალხური საკრავების წრე (დოლი), ხალხური საკრავების წრე (ფანდური, სალამური), ბავშვთა დრამატული წრე, თოჯინების თეატრი, სამეჯლისო ცეკვები, ქორეოგრაფიული ანსამბლები „იბერიელები“ და „ქარელი“, დრამატული წრე, მოყვარულთა თეატრი, რომლის მიერ დადგმულ სპექტაკლებში მონაწილეობას იღებენ თავად კულტურის სახლის შემოქმედებითი ჯგუფები. კულტურის ცენტრში შემოქმედებით სახელოვნებო განათლებას ღებულობს და მიიღებს 500- ზე მეტი მოსწავლე. წრეები და გუნდები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ, რესპუბლიკურ ფესტივალებში და ღონისძიებებში. 2022 წლიდან ამოქმედდება ქართული ხალხური სიმღერის და ქართული გალობის შემსწავლელი წრეები;
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა, კულტურული და შემოქმედებითი ცხოვრებით დაინტერესება.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 06
პროგრამის დასახელება:	მუზეუმების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	34 100.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია. ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა,რომელშიც დაცულია 3000 ექსპონატი. იგი იცავს, იკვლევს და პოპულარიზაციას უწევს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს, დასაქმებულია 8 თანამშრომელი. მუზეუმში ვიზიტორთა რაოდენობა წელიწადში საშუალოდ შეადგენს 3000 ერთეულს. პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნება ინვენტარი და ტექნიკა საკონფერენციო დარბაზისათვის (მაგიდა, სკამები, კომპიუტერები, პროექტორი, პროექტორის ფარდა, წყლის დისპენსერი), მოეწყობა სტელაჟები და თაროები ექსპონატებისათვის, მოღებრები საგამოფენო სივრცისათვის, მოეწყობა ჩვენებები, შემოქმედებითი სადამოები, ისტორიის ვიქტორინები, კონფერენციები, წიგნის მკითხველთა კლუბი, მოხდება ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართვა მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებსა და ზოგადად თვითმმართველობის ცხოვრებაში.
მოსალოდნელი შედეგი	დაცული და მოვლილი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, მისი პოპულარიზაცია და მოსახლეობის დაინტერესების ზრდა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 07
პროგრამის დასახელება:	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა
	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების



პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	46 500.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქართული ხალხური მრავალხმოვანი სიმღერების პოპულარიზაცია. ქარელის მუნიციპალიტეტში, ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს მამაკაცთა ფოლკლორული გუნდი - „ქარელი“ - 15 მამაკაცის შემადგენლობით, რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ და რესპუბლიკურ ფესტივალებში და ღონისძიებებში, რითაც პოპულარიზაციას უკეთებს ქართულ ხალხურ მრავალხმოვან სიმღერას ქარელის მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ.
მოსალოდნელი შედეგი	ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაცია.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 08
პროგრამის დასახელება:	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანებების ადმინისტრაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	72 500.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ ადმინისტრაცია შედგება 7 თანამშრომლისგან, რომლების მართავენ და ორგანიზებას უწევენ გაერთიანებაში შემავალი ფილიალების საქმიანობას და მათ ფუნქციონირებას. გაერთიანებას, გამართულად ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება დასაქმებულთა შრომის, ოფისის და სხვა მიმდინარე ხარჯების ანაზღაურება, რომელთა დაფარვა მოხდება ასიგნებების ფარგლებში.
მოსალოდნელი შედეგი	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ გამართული ფუნქციონირება და განყოფილებების საქმიანობის ორგანიზება, მართვა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 09
პროგრამის დასახელება:	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	18 300.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მოსახლეობის ინფორმირებულობა, დაინტერესების ზრდა, ცნობადობის ამაღლება და ჩართულობის გაზრდა. საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით დასაქმებულია 3 თანამშრომელი და წლის განმავლობაში გამოიცემა მუნიციპალური გამოცემა „ქარელის მოამბის“ 18 000 ეგზემპლარი. აღნიშნულ გაზეთში შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული, სოციალური და სხვა სიახლეები, ასევე მოსახლეობის პრობლემები და მიღებული სამართლებრივი აქტები. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საგამომცემლო საქმიანობა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში



მოსალოდნელი შედეგი	ინფორმირებული და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული მოსახლეობა.
--------------------	---

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 10
პროგრამის დასახელება:	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	90 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის, ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება რელიგიური დაწესებულებების საკულტო შენობა-ნაგებობების აღდგენისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, ასევე სხვა საქმიანობისათვის ფინანსური დახმარება, რითაც ხელი შეეწყობა რელიგიურ-კულტურული ობიექტების მოვლა-შენახვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში.
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და რეაბილიტირებული რელიგიურ-კულტურული ობიექტები, დაფინანსებული რელიგიური ღონისძიებები. პილიგრიმი ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 11
პროგრამის დასახელება:	ტურიზმის განვითარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	15 200.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის ქარელის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირება დაიწყო ტურიზმის საინფორმაციო ცენტრმა, რომლის მიზანია, საქართველოში ჩამოსული და ადგილობრივი ტურისტების სრულყოფილი ინფორმირება ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტის შესახებ, საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალისა და ახალი პროდუქტის პოპულარიზაცია. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიერ ტურისტებისთვის შეთავაზებული პროდუქტი იქნება: ინფორმირება მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული დანიშნულების ობიექტების შესახებ, როგორცაა: განთავსებისა და კვების ობიექტები, სატრანსპორტო საშუალებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლის განრიგი, მუზეუმები, გალერეები, ღვინის საწარმოები, ღვინის მარნები, ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული ადგილების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, საკურორტო ადგილებისა და სხვათა შესახებ, ტურისტების ინტერესებიდან გამომდინარე, ტურისტული მარშრუტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ტურის დაგეგმვაში დახმარება, ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებებისა და ფესტივალების შესახებ (ეროვნული, კულტურული, გასართობი, სპორტული და სხვა); ბეჭდვითი მასალის გავრცელება (რეგიონისა და ქალაქის რუკები, ბროშურები, გზამკვლელები და სხვა). საინფორმაციო ცენტრში წარმოდგენილი იქნება სუვენირები და ადგილობრივი წარმოების პროდუქცია (წარმოებული ღვინო, ნატურალური თაფლი, ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა პროდუქცია, ქარელის ღირსშესანიშნაობების აღმნიშვნელი სუვენირები).
მოსალოდნელი შედეგი	განვითარებული ტურიზმი, პოპულარიზებული მუნიციპალიტეტი, კმაყოფილი მოსახლეობა და ადგილობრივი მეწარმეები



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 03
პროგრამის დასახელება:	ახალგაზრდობის მხარდაჭერა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	22 800 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ახალგაზრდობის მხარდაჭერა, მათი უნარების რეალიზაციის შესაძლებლობა და საქმიანობის სტიმულირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჩართულობა მასობრივ ღონისძიებებში. ჩატარდება თემატური ფესტივალები, გასართობი, შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობები. მოეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ლაშქრობები და სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	ღონისძიებებში ჩართული მეტი ახალგაზრდა და მხარდაჭერილი ინიციატივები.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

